# საქართველოს კანონი

## პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** პატიმრობის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №12, 24.03.2010, მუხ. 49) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სამინისტროს სამოქალაქო სამსახურის, გენერალური ინსპექციის, საგამოძიებო დეპარტამენტისა და სამინისტროს სხვა საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესი, აგრეთვე სამინისტროს საშტატო ნუსხა, სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და აღნიშნულთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

23 დეკემბერი 2017 წ.

N1942-რს